გამოკვლევები საქართველოსა და ჩილდირის ისტორიის საკითხებზე

ნოდარ შენგელია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი

რამდენიმე წლის წინ თურქეთში გამოვიდა რიზელი ქართველის ნები გუმუშის გამოკვლევა „ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში". 1. ნაშრომი შედგება: წინასიტყვაობის, შესავლის, 4 თავის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და ინდექსისაგან.

ოსმალეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა სტამბოლის დაპყრობის შემდეგ და გაგრძელდა ოსმალეთის იმპერიის დაცემამდე. ამ პერიოდში კავკასიას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ოსმალეთის, ასევე ირანისათვის. XVI საუკუნეში ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

შესავალ ნაწილში საუბარია იმ წყაროებზე, რომლებიც მოიპოვება აღნიშნული პერიოდის შესახებ და იმ საარქივო მასალებზე, რომლებიც ინახება საქართველოსა და თურქეთის არქივსაცავებში;

ნაშრომის პირველ თავში საუბარია ოსმალთა მიერ საქართველოს დაპყრობებზე, კერძოდ, იმერეთთან ურთიერთობაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ იმერეთთან ურთიერთობისას მასში შემავალი სამთავროები, გურიისა და სამეგრელოს პროვინციები ხან ოსმალეთის მფარველობაში იყვნენ, ხანაც იმერეთს ექვემდებარებოდნენ;

ნაშრომის მეორე თავი ეხება სამცხე-საათაბაგოსთან ურთიერთობას. ამ რეგიონს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსათვის. ოსმალთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიები სამცხეში, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პუნქტები იყო ერთიანი საქართველოსთვის;

ნაშრომის მესამე თავში საუბარია ქართლის სამეფოს ურთიერთობაზე ოსმალეთთან. ქართლი ყოველთვის იყო საქართველოს გული. იგი თავდადებით აწარმოებდა ბრძოლებს ოსმალეთთან;

მეოთხე თავი ეხება ოსმალეთის კახეთთან ურთიერთობას. შესავალ ნაწილში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორი იხილავს თურქულად არსებულ წყაროებს. იგი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „მუჰიმე დავთრებს", რომლებშიც უხვადაა გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ მთელი XVI-XVIII საუკენეების მანძილზე. აქვეა ქართველ მეფე-მთავართა წერილები, მიმართვები ოსმალეთის სულთნისადმი. ხსენებული დავთრები და სხვა მნიშვნელოვანი წყაროები ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში.

არანაკლებ საინტერესოა ხალხის აღწერის ვრცელი და მოკლე დავთრები, რომლებიც ინახება როგორც სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში, ასევე ანკარის თაფუსა და კადასტროს არქივშიც. ავტორი საგანგებოდ განიხილავს ქართველ ოსმანისტთა ნაშრომებს, რომლებიც ეხება XVI საუკუნის ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობებს.

ავტორი ასევე იყენებს ქართულ წყაროებს, განიხილავს ქართული ტერმინოლოგიის ეტიმოლოგიას, ოსმალურ წყაროებში გურჯისტანის შესატყვის სახელებს და ქართულ წყაროებში ოსმალურის შესატყვის ტერმინებს. ეს სახელებია: ოსმალნი, ოსმანთა, ურუმნი, ურუმთა, თათარნი, თათართა; იხმარება აგრეთვე: ფაშა, სულთანი, ხონთქარი, ხვანთქარი.

ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი პარაგრაფები: 1. გურჯისტანის გეოგრაფიული და სტრატეგიული ღირებულებანი. 2. XVI საუკუნამდე საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ ძირითადი მოსაზრებანი. აქ ავტორი იხილავს უძველესი დროიდან XVI საუკუნის დასაწყისამდე საქართველოს ისტორიის საკითხებს. შემდეგ ეხება XVI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ისტორიას და მათ ურთიერთობას ოსმალეთთან, იმერეთთან, კახეთთან, სამეგრელოსთან ერთად.

ავტორი, როდესაც ეხება ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის დასაწყისს, წერს, რომ გადაჭრით ამის თქმა ძნელია, უფრო სავარაუდოა, იგი დაიწყო XV ს-ის მეორე ნახევრიდან. აქვე მოკლედ ეხება სტამბოლის დაპყრობის ამბებს, შემდეგ გადადის სოხუმის ლაშქრობაზე, როცა სულთანმა სტამბოლის დაპყრობის შემდეგ 1454 წელს აფხაზეთის სანაპიროზე ფლოტი გაგზავნა.

აქვე ავტორი განიხილავს ქართველთა მიერ ანტიოსმალური კოალიციების შექმნას. შემდეგ გადადის ტრაპიზონის დაპყრობის ამბებზე. ამ დროისათვის აფხაზეთი, სამეგრელო და გურია ოსმალთა დაქვემდებარებაში იყვნენ. ოსმალური წყაროების მიხედვით, ტრაპიზონი სასაზღვრო ტერიტორიად ითვლებოდა. ტრაპიზონის აღმოსავლეთი საზღვარი ბათუმამდე ვრცელდებოდა. ავტორი განაგრძობს, რომ ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს და სამცხემდე განავრცეს საზღვრები, სადაც თავიანთი სანჯაყი დააფუძნეს. 1475 წელს გედიქ აჰმედ ფაშამ კაფა დაიპყრო. ასევე ხელთ იგდო მთელი ყირიმი. ამიერიდან საქართველოს გზები სამუდამოდ მოეჭრა. ოსმალეთი და საქართველო ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ XV საუკუნეში.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია ურთიერთობა იმერეთის სამეფოსთან. აქვე შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ განიხილავს იმერეთის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობას. მიმოხილულია ბაიაზიდ II-ის ხანა (1481-1512). ავტორი ეხება უფლისწულ სელიმის ქუთაისში ლაშქრობას და აღნიშნავს, რომ შეჰზადე სელიმმა

საქართველოში სამჯერ ილაშქრა. ამ ლაშქრობის შესახებ არაერთი თარიღია მითითებული მეცნიერებაში. ავტორი ყველა თარიღს უთითებს, მაგრამ გადაწყვეტით თავად არც ერთ თარიღს არ ასახელებს. იგი ოსმალურ წყაროებთან ერთად ქართული წყაროების მონაცემებსაც იყენებს. შემდეგ მსჯელობს იავუზ სულთან სელიმის ხანაზე (1512-1520). ამ სულთნის ტახტზე ასვლისას სამეგრელოსა და გურიაშიც ახალი გამგებლები მოვიდნენ — ამბობს იგი. ამ დროს გურიის ბეგი იყო გიორგი I (1491-1512), სამეგრელოში მთავრობდა ლიპარიტ I (1491-1512). ორივენი ერთსა და იმავე წელს დაიხოცნენ. სამეგრელოში მთავარი გახდა მამია III (1512-1532), გურიაში კი მამია I (1512-1534). იმერეთის მეფეც გამოიცვალა. იმერეთის მეფე ალექსანდრე ჩერქეზებთან ბრძოლის სამზადისში გარდაიცვალა 1510 წელს. ტახტი დაიკავა ბაგრატმა. მან შემოიერთა გურია-სამეგრელოს პროვინციებიც. ოსმალებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს იმერეთის დალაშქვრა. მათ გურია-სამეგრელოში არ ულაშქრიათ. ოსმალებს არ ეცალათ დასავლეთ საქართველოსათვის. ისინი ეგვიპტის ლაშქრობით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ მალე მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალთა მფლობელობაში მოექცა. ევლია ჩელების მონაცემებით, ქუთაისი ოჯაქლიქ ჰუქუმეთად იყო წარმოდგენილი. ოსმალებმა სხვა პროვინციები იურთლუქებად და ოჯაქლიქებად აქციეს. ეს პროცესი თანზიმათამდე გრძელდებოდა – წერს ავტორი. 1516 წლის მონაცემებით, გურია-სამეგერელო ოსმალეთს გადასახადს უხდიდა.

შემდეგ ავტორი განიხილავს სულთან სულეიმანის ხანას (1520-1566) და აღნიშნავს, რომ სულეიმანის ტახტზე ასვლისათვის გურია, სამეგრელო, აფხაზეთი ოსმალთა ხელთ იყო. ოსმალეთს გადასახადს უხდიდნენ, თუმცა დამოუკიდებლად თვლიდნენ თავს. სურამი და ახალდაბა ოსმალეთმა მიიერთა 1526 წელს, სამეგრელოს მთავარი დამარცხდა და იქვე გარდაიცვალა. მისი ადგილი დაიჭირა ლევანმა (1532-1546). გურიის მთავარი შეცვალა როსტომმა 1534 წელს.

შემდეგ ავტორი ეხება მურჯახეთის ბრძოლას და სამცხის იმერეთისათვის მიერთებას. ეს ბრძოლა მოხდა 1535 წლის 15 აგვისტოს ახალქალაქის მახლობლად. იმერეთის მეფემ ყვარყვარე ათაბაგი ტყვედ იგდო და სამცხე თავად შეიერთა. ყვარყვარე 10 წლის ტყვეობის შემდეგ გარდაიცვალა გელათში. აჭარა და ჭანეთი გურიის ბეგს ერგო.

შემდეგ ქვეთავში განხილულია სოხოისტას ბრძოლა და ოსმალთა დახმარებით სამცხის დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ ბრძოლაში ოსმალებმა გაიმარჯვეს, მათ აფხაზეთის საზღვრებამდე მიაღწიეს. სამეგრელო დამოუკიდებელი გახდა.

იმერეთის მეფემ სამეგრელოს მთავარი ლევანი გელათში დაამწყვდია. დადიანი ხოფილანდრე ჩხეიძის დახმარებით, ახალციხეში გადავიდა და გურიის ბეგის დახმარებით სამეგრელოში ჩააღწია. გურია-სამეგრელოს ბეგებმა თავი ოსმალეთს შეაფარეს.

ავტორი ცალკე სწავლობს ამასიის ზავსა და დანაწილების საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ 50-წლიანი ბრძოლა ირან-ოსმალეთს შორის ამასიის ზავით დასრულდა. ჩალდირანთან გამარჯვების შემდეგ 1555 წლისათვის ამასიაში ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება. რის შედეგად საქართველო განაწილდა ორ მტაცებელ სახელმწიფოს შორის: ქართლი, კახეთი და აღმოსავლეთ სამცხე ირანს ერგო; იმერეთი, სამეგრელო, გურია და დასავლეთ სამცხე კი — ოსმალეთს. საზღვარი ლიხის მთაზე გადიოდა და ყარსთან მთავრდებოდა. ამ ჩარჩოში თავსდებოდა არტაანი, შავშეთი და მისი სანახები ოსმალთ რჩებოდათ.

სელიმ II-ის ხანაში (1566-1574). გურია-სამეგრელო იმერეთს გაუორგულდა, დასავლეთ საქართველოში – იმერეთსა და გურია სამეგრელოში ბრძოლები კვლავაც გრძელდებოდა. სამეგრელოს მთავარი ლევანი 1572 წელს გარდაიცვალა, მისი ადგილი დაიკავა მისმა შვილმა გიორგიმ. ახალმა მთავარმა იკისრა გადასახადი და ხარაჯა.სელიმ II-ის დროსაც გრძელდებოდა ოსმალთა ბატონობა. იმერეთის მეფე სამეგრელოსა და გურიასთან ერთად განაგრძობდნენ გადასახადის გადახდას.

მურად III-ის (1574-1595) დროსაც იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მეთაურები მშვიდობიანად იყვნენ ოსმალთა მფარველობის ქვეშ. რაღაც პრობლემები მაინც არსებობდა სამეგრელოსა და გურიის მთავრებს შორის.

ავტორი შემდეგ განიხილავს ლალა მუსტაფა ფაშას მიერ საქართველოში ლაშქრობას და იმერეთთან ურთიერთობას, კილიჩ ალი ფაშას ფოთში ლაშქრობას და მისი ძალაუფლების გაძლიერებას. ნაშრომში მოთხრობილია, რომ ლალა ფაშას ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ მათ საქართველოში არსებული ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება მოისურვეს. კილიჩ ალი ცდილობდა თბილისსა და შირვანში ჩაყენებული ძალების მომარაგებას პროვიანტით. პროვიანტი გემებით ფოთამდე მოჰქონდათ, აქედან კი მისი გადაზიდვა არ იყო რთული პროცესი. ამიტომ გამოჩნდა ოსმალთა საზღვაო ძალები ფოთში და დაიწყეს ფოთის ციხის გამაგრება. ფოთის შესაკეთებლად დახმარება ეთხოვა ბათუმის ბეგლარბეგს. მანაც არ დააყოვნა და გამოგზავნა დამხმარე ძალები. თან ამის შესახებ აუწყა სტამბოლს, საიდანაც მიიღო ჯილდო. გონიოს ბეგმა ფოთის ციხის შეკეთების გარდა აჭარის ციხის დაპყრობაშიც მიიღო მონაწილეობა, დახმარება გაუწია ოსმალებს. ბათუმის ბეგლარბეგი სტამბოლში გაგზავნილ წერილში იუწყებოდა, რომ გურიის ბეგმა ასობით აზნაური გააგზავნა დასახმარებლად.

მალე ფოთის ციხე შეკეთდა, დაკავებულ იქნა და 1580 წლისათვის ფოთი ბათუმს დაექვემდებარა. ციხის მცველებს ბრძოლა უხდებოდათ აბაზა მეკობრეებთან: ისინი ნავებით მოძრაობდნენ გურიის, გონიოს, არჰავისა და ათინას სანაპიროებზე. ანადგურებდნენ მაკრიალისა და არჰავის სანაპიროებს. აფხაზები ჩერქეზებთან ერთად გამოდიოდნენ. მჭიდრო კავშირები ჰქონდათ მეგრელებთანაც. 1461-1483 წლებში არის ცნობები ქართველების, სომხებისა და მეგრელების ერთობლივი საქმიანობის თაობაზე. აქვე მოსახლე ლაზები გემებით მეკობრეობასა და მონებით ვაჭრობას ეწეოდნენ. ისინი მდინარე ჭოროხით სამეგრე-

ლოშიც აღწევდნენ და ვაჭრობდნენ. მათ წინააღმდეგ გამოდიოდა ოსმალეთის ხელისუფლება.

ამ თარეშში მონაწილეობდნენ აფხაზები, მეგრელები, ლაზები, რუსი კაზაკები. ნაშრომში ჩამოთვლილია მეკობრეობის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი. განხილულია სოხუმის მხარეს თოფის წამლისა და იარაღის გაგზავნის და ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვა. ნაშრომში საუბარია აგრეთვე იმერეთში არსებულ წინააღმდეგობებზე.

სულთან მეჰმედ III-ის დროს (1595-1603) გურია და სამეგრელო ოსმალეთს გადასახადს უხდიდნენ. უცნობია, თუ რა დროიდან იხდიდნენ ისინი ამ გადასახადს. გურია-სამეგრელო 10000-ს ოქროს სახით უხდიდა ოსმალეთს.

ნაშრომის მეორე თავში საუბარია სამცხის ათაბაგთან ურთიერთობაზე. მცირე შესავლის შემდეგ ავტორი პირდაპირ იხილავს სულთან იავუზის ხანას (1512-1520). აქვეა ქვეთავი: მზეჭაბუკი და ოსმალეთის მოსახლეობა. XVI საუკუნის დასაწყისში, როცა სამცხე ოსმალეთის მფლობელობაში მოექცა, ავტორი აღნიშნავს, რომ აქ დაიწყო ეკლესიების ნგრევა და მეჩეთების მშენებლობა.

აქვე განხილულია ყვარყვარე-მანუჩარის ბრძოლები. მანუჩარის მიერ სამცხის ტახტის დაკავება. ავტორი აქვე მსჯელობს სამცხეში ყვარყვარეს მფლობელობის საკითხებზე და ოსმალთა დამარცხებებზე. აქვე ავტორი ეხება სულეიმან კანუნის მმართველობის პერიოდს, სადაც საუბარია ყვარყვარე ათაბაგის მიერ ოსმალთა მფლობელობის აღიარებაზე. ამ პერიოდში ხდება იმერეთის მიერ სამცხის მიერთება. განახლდა ირან-ოსმალეთს შორის ბრძოლები. საუბარია სოხოისტას ბრძოლაზე და სამცხის მიერ კვლავ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. სოხოისტას ბრძოლის შემდეგ თორთუმის, ისპირისა და ფასინის კვლავ ოსმალთა ხელში გადასვლა ხდება. აქვე წარმოდგენილია სამცხეში ქაიხოსროს მმართველობის (1545-1573) პერიოდი და ოსმალთა განმგებლობა. ამ პერიოდში ხდება ქართლის მეფის ლუარსაბის მიერ

ჯავახეთის, გოლესა და არტაანის დაპყრობა, შაჰ თამაზის ოთარ შალიკაშვილის ქალიშვილზე დაქორწინება 1548 წელს.

შემდეგ ავტორი აღწერს კანუნის აღმოსავლეთში მეორედ ლაშქრობას, როდესაც დაიკავა ვანის ციხე. ვეზირმა აჰმედ ფაშამ სამცხეში გაილაშქრა და 1549 წლისათვის მათ აიღეს თორთუმის, ნიჰაჰის, ამირაჰორის ციხეები. ამ ლაშქრობისას ჩაიბარეს ახჩა კალაც. ასევე ხელთ იგდეს ფერთეგრექის, ეშრედის ციხეები. მათ სულ 15 ციხემდე იგდეს ხელთ. თორთუმში სოფელ ჰაჰოში რადიქის ციხე იგდეს ხელთ. ნიჰაჰისა და ქისქიმის ციხეები ბრძოლით აიღეს. მათ დიდი დაპყრობები ჩაატარეს ლივანის ხეობაში 1549 წლისთვის. ამ წელს მათ 4 სასანჯაყო ადგილი დაიკავეს, აქვე დაარსდა 4 სანჯაყი. ესენია: თორთუმი, ახჩა ყალა, ქიამჰისი და ლივანას ხეობა. ისინი არზრუმს დაუქვემდებარეს. ქართველები დაიმორჩილეს. მათ სულ 35 მტკიცე ციხე იგდეს ხელთ. აქედან 14 დაანგრიეს, 25-ში კი თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს. ხსენებული ციხეების აღებით დიდძალი სიმდიდრე იგდეს ხელთ.

შემდეგ აღწერილია სულეიმან კანუნის აღმოსავლეთში მესამედ ლაშქრობა. 1550 წლისთვის მათ ტაო დაიპყრეს. იშხანის ბრძოლაში თურქებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. 1553 წელს ხელთ იგდეს ტაოსკარისა და არტანუჯის ციხეები. ქაიხოსრო ათაბაგი დაიმორჩილეს. არზრუმს მიუერთეს კლარჯეთის ციხე, არტანუჯი, შავშეთი, გოლე და არტაანი. 1549 წლისათვის ფერთეგრექის სანჯაყი ბექას უბოძეს. 1557 წელს ბექა მუსლიმი გახდა და საფარი დაირქვა. იგი ოჯაქლიქის მფლობელი გახდა. ლივანას ხეობა ბექას ძმას — მეჰმედად წოდებულს უბოძეს.

შემდეგ განხილულია სელიმ II-ის მმართველობის ხანა (1566-1574) და მურად III-ის მოლვაწეობა (1574-1595).

1578 წელს გურჯისტანში ლაშქრობა და სამცხეში ოსმალთა განშგებლობის დამკვიდრება ხდება. ოსმალეთის ხელისუფლების მოწოდებაა: მიიღონ მონაწილეობა გურიის, სამეგრელოს, იმერეთის მეთაურებმა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭირო იყო , აგრეთვე, ჯარის

პროვიანტითა და მარცვლეულით უზრუნველყოფა, იარაღისა და აღჭურვილობის სრულყოფა. საჭირო იყო არტანუჯ-არტაანის გზების შეკეთება, ოსმალეთის ლაშქრის გადასვლა ერზერუმში. გურია-სამეგრელოს მოსაზღვრე ვილაიეთების ბეგლარბეგების, მანუჩარის დამორჩილება. ლალა ფაშას პირდაპირ არტაანისაკენ, არტაანიდან საქართველოს ტერიტორიებისაკენ გამგზავრება, მათ მიერ ვალეს, მგელციხის, ქაჯის ციხეს, აგრეთვე ველისა და თეთრის ციხის დაკავება. ჩილდირის ბრძოლაში ოსმალთა გამარჯვება და მათ მიერ ახალციხის, ახალქალაქის, თმოგვისა და ხერთვისის დამორჩილება ცხადი იყო. ათაბაგების მიერ ისლამის მიღება და ოსმალთა ფაშას მიერ მათდამი სანჯაყების ბოძება უკვე მიღებული იყო.

შემდეგ განხილულია ლალა ფაშას თბილისისაკენ გალაშქრება, როცა მანუჩარმა ლალა ფაშას მეგზურობა გაუწია. სარდალმა აღჩაკალასთან ლაშქრის გარკვეული რაოდენობა დატოვა და თავად თბილისისაკენ გაემართა, გორიდან სამცხეში გადავიდა. აწყურში მივიდა. აქ შეუერთა დედისიმედი შვილებით და მორჩილება გამოუცხადეს სარდალს, რომელმაც მათ ხალათები უბოძა. იქიდან ოძრხეს გაემართა, საიდანაც არზრუმს წავიდა. არზრუმიდან სულთანს წერილით აუწყა, რომ საჭირო იყო გზის შეკეთება არზრუმიდან ქართლამდე.

ავტორი შემდეგ გვიყვება 1579 წლის ამბებს. კერძოდ, ქართველი ათაბაგების სტამბოლში დიდი პატივისცემითა და საჩუქრებით შევიდნენ. მათ მიერ ისლამის მიღებაზეა საუბარი, მაგრამ სამცხეში დაბრუნების შემდეგ კვლავ გაქრისტიანება მოისურვეს. მანუჩარის, იმავე მუსტაფა ფაშას აჯანყებას მიმოიხილავს.

1579 წლისათვის ლალა ფაშამ ყარსის ციხის შეკეთება დაიწყო, იმავე წელს სარდალი შირვანში გადავიდა. ლალა ფაშას შემდეგ სარდლად დაინიშნა სინან ფაშა. იგი ყარსში დაბრუნდა. ცნობილი გახდა მანუჩარ-მუსტაფას აჯანყების საკითხი. ქართული წყაროების მონაცემებით, ყვარყვარე მოკვდა 1582 წელს.

არზრუმის გამგებელი მანუჩარისგან დახმარებას ითხოვდა, მაგრამ მანუჩარი არ მივიდა. გორთან ახლოს დაბანაკებულმა არზრუმის გან-

მგებელმა სიმონ ქართლის მეფისაგან დიდი მარცხი განიცადა. მთელი ნადავლი სიმონს დარჩა. გორში დამარცხების შემდეგ მეჰმედ ფაშამ თბილისში მყოფი მცველები უკლებლივ გაათავისუფლა. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ მოტანილი ძღვენით დაკმაყოფილდა. მანუჩარი სიმონს მიუვიდა და ახალციხის ხელთ ჩასაგდებად მოემზადნენ. 1582 წელს მანუჩარმა სიმონის ქალიშვილზე – ელენეზე იქორწინა.

მანუჩარის განდგომის თაობაზე ისტანბულს ეუწყა. იგი ცნობილი გახდა ლივანას, შავშეთის, დიდი და მცირე არტაანის სანჯაყ-ბეგებისათვისაც. დაწვრილებითაა განხილული მანუჩარ-მუსტაფა ფაშას მიერ ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები და მანუჩარის სიმონთან გადასვლის შემდეგ მან არაერთი ღონისძიება გაატარა მათ წინააღმდეგ. ფერჰად ფაშამ არაერთგზის სცადა მანუჩართან ურთიერთობის დამყარება. მანუჩარმაც დიდი საჩუქრები მიართვა ფერჰად ფაშას. დმანისის ციხის შეკეთებისას ხალხიც აახლა მას. მანუჩარის მობოდიშება მიღებული არ იქნა. სამაგიეროდ მანუჩარი მხარდაჭერას პოულობს სხვა ქართველი ბეგებისაგან. მანუჩარ მუსტაფა ფაშას უდანაშაულობა ცხადი ხდება.

ნაშრომში შემდეგ საუბარია ფერჰად ფაშას საქართველოში ლაშქრობის თაობაზე. ფერჰად ფაშამ თავისი სარდლობის ჟამს გარკვეული ღონისძიებები გაატარა: 1584 წელს არზრუმიდან გამოვიდა და ქართველთა ციხეებში მცველები დანიშნა. ლალა ფაშას დანიშნული ძალები საგრძნობლად გააძლიერა მთელს სამცხეში, აჭარაში, იმერხევში, ართვინსა და ყველა ქართულ პროვინციაში. 1584 წელს დმანისისა და ლორის შემდეგ ახალციხის მშენებლობა დაიწყო. ფერჰად ფაშამ, ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას სარდლობის შემდეგ მეორედ, 1587 წელს ლაშქარი გააგზავნა საქართველოში. ამ ლაშქრობის მიზეზი ზოგიერთი ბეგის დაუმორჩილებლობა იყო. სარდალმა თბილისი გაიარა. გორთან, მდინარე მტკვართან დაბანაკდა. მან არზრუმში გამოილაშქრა. ახალციხე ხელახლა გააშენა და იქ დანიშნა აჰმედ ფაშა.

ნაშრომის მესამე ნაწილში განხილულია ოსმალეთის ქართლის სამეფოსთან ურთიერთობა მურად III-ის ხანაში. XVI ს-ის დასაწყისში ქართ-

ლის სამეფოს სეფიანთა განმგებლობაში შესვლა. შემდეგ საუბარია მეფე გიორგის (1525-1535), მეფე ლუარსაბის (1534-1558), და სიმონ მეფის მმართველობის ხანაზე (1558-1569) ქართლში. ქართლის მეფის სიმონის ფარცხისთან სპარსელების მიერ დატყვევება ალამუთის ციხეში გამოკეტვით დამთავრდა. დაუდ ხანი (1569-1578) ქართლში დასვეს გამუსლიმებული დაუდ ხანი მალე ყაზვინში წაიყვანეს.

ირან-ოსმალეთის ომი და ქართლის ოსმალთა მფლობელობაში გადასვლა ხდება, კერძოდ თბილისი და გორი ოსმალთა გამგებლობაში გადადის. ფაფა ფაშა თბილისიდან გორისაკენ გაემართა. ციხის დაწვის მიუხედავად მდინარე გადალახეს და გორში 2 დღეს დარჩნენ. სარდალი გორიდან სამცხისაკენ გაემართა.

სპარსელთა მიერ სიმონ მეფის განთავისუფლება და სიმონის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. 1576 წელს სიმონი სპარსელთა ციხიდან გამოვიდა. სიმონს მაჰმადიანობა მიაღებინეს. მას მაჰმუდ ხანი ეწოდა. სიმონი კვლავ ქართლის მეფედ აღიარეს. სიმონის მიერ მუხრანის გზით სამცხეში გადასვლა, ლორის, გორისა და სხვა ციხეების დაუფლება და თბილისისათვის ბრძოლის სამზადისი. ოსმალთა მიერ მუსტაფა ფაშას თბილისში გაგზავნა თბილისის გარნიზონის დასახმარებლად, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველებმა იგდეს ხელთ.

ლალა ფაშას ნაცვლად სარდლად დაინიშნა სინან ფაშა. 1580 წლის 13 აგვისტოს იგი თბილისისკენ გაემართა. თბილისთან სარდალი მტკვრის ნაპირას დაბანაკდა.: თბილისში ზამთრის დადგომისთანავე სარდალი ყარსში გაემგზავრა გამოსაზამთრებლად. შემდეგ ჰასან კალეში გაემართა. 1581 წლის ბოლოს სინან ფაშა სტამბოლს დაბრუნდა. სამეფო-სამთავროთა მეთაურებს წერილიობით ეცნობათ, დახმარებოდნენ თბილისს.

შემდეგ მოთხრობილია ფერჰად ფაშას სარდლობით ოსმალთა ქართლში ლაშქრობებზე. 1587 წლის ივნისში სარდალი არზრუმიდან პირდაპირ საქართველოში გაემგზავრა. გზად მან კაზახის ხანი დაიმორჩილა: ფერჰად ფაშამ ამ ლაშქრობაში დაიკავა და შეაკეთა

გორისა და ახალციხის ციხეები და ანატოლიის ცალკეულ განმგებლებს მოუწიდა აღმოსავლეთში ლაშქრობისაკენ.

სიმონი ოსმალთათვის ყოველთვის საშიში იყო, იგი მუდამ იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. აქვეა საუბარი 106 სოფლის თაობაზე, რომელიც სიმონმა უბოძა ოსმალთ. დაწვრილებითაა აღწერილი ნახიდურთან მომხდარი ბრძოლა და სიმონის ფარცხისთან დატყვევება. სიმონ მეფე დაატყვევეს 1600 თუ 1601 წელს. სიმონი სტამბოლს ჩაიყვანეს და იედიყულეში გამოკეტეს.

XVI ს-ის მიწურულს ქართლი ოსმალთა მფარველობაში მოექცა.

მეოთხე თავში აღწერილია ოსმალეთ-კახეთის ურთიერთობა. კერძოდ, XVI ს-ის დასაწყისში კახეთის ირანის განმგებლობაში შესვლა. ლევან მეფისა და ალექსანდრე II-ის (1573-1605) მმართველობის ხანა. მურად III-ის ხანა ოსმალეთში. ლალა მუსტაფა ფაშას საქართველოში ლაშქრობა და სხვა.

ცალკეა გამოყოფილი ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას სარდლობა და მისი მოღვაწეობა ლალა ფაშას ლაშქრობებში. შემდეგ საუბარია ფერჰად ფაშას სარდლობასა და კახეთის ამბებზე. როცა ფერჰად ფაშამ პირველი ლაშქრობის დროს გორის ციხე შეაკეთა, თბილისში მოვიდა, ალექსანდრე კახთა მეფე საჩუქრებით ეახლა. ფერჰად ფაშამ მეორე ლაშქრობის დროს ალექსანდრესგან დახმარება ითხოვა. მან კახეთს კვლავ შეაწერა ხარკი.

საუბარია ალექსანდრე კახთა მეფის მოღვაწეობასა და მის საგარეო პოლიტიკაზე. ამ პერიოდში მნიშვნელოვანია კახეთ-რუსეთის ურთიერთობანი.

ბოლოს ნაშრომს დართული აქვს ძალიან მდიდარი ბიბლიოგრაფია, მასში თითქმის სრულადაა წარმოდგენილი ქართული თურქოლოგიის მიღწევები. მითითებულია წყაროები როგორც ქართულ ენაზე, ასევე თარგმანები სხვადასხვა ენებიდან.

ამრიგად, რიზელი მეცნიერის გუმუშ ნების მონოგრაფია, შეიძლება ითქვას, დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია თანამედროვე

თურქულ ისტორიოგრაფიაში.. ავტორი კარგად იცნობს თანამედროვე ოსმანისტიკის მიღწევებს. მათ შორის ქართულ ოსმანისტიკას. იგი იყენებს იმ მდიდარ და უხვ პირველწყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც სადღეისოდ არსებობს. ავტორი უხვად იყენებს იმ მდიდარ ოსმალურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებს, რომლებიც დღეს თურქეთის წიგნსაცავებსა და არქივსაცავებში მოიპოვება. ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე.

გუმუშ ნების აქვს აგრეთვე არაერთი ნაშრომი, სტატია XVI ს-ის საქართველო – ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ. აღსანიშნავია ავტორის გამოკვლევა „ოსმალთა მიერ საქართველოს დაპყრობისა და მისი ისლამიზაციის საკითხებზე"[2]. იგივე ნაშრომი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზეც[3]. ავტორს აქვს წერილი სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებზეც[4].

გამოკვლევა ჩილდირის ათაბაგების ისტორიის საკითხებზე

თურქმა ისტორიკოსმა მუსტაფა ადილ ოზდერმა 1971 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა ჩილდირის ათაბაგების ისტორიის საკითხებზე. ნაშრომი შედგება 147 გვერდისაგან, მას დართული აქვს ჩილდირ-ახალციხის ათაბაგებისა და მათი შთამომავლობის გენეალოგიური ნუსხა XIII ს-ის 60-იანი წლებიდან მეოცე საუკუნის მიწურულამდე. ნაშრომს წინ უძღვის ჩილდირის ათაბაგების სახელთა ინდექსი.

ავტორი თხრობას იწყებს ჩილდირის საათაბაგოზე 1265-1282 წლებში. ესაა სარგის I-ის მოღვაწეობის ხანა, როცა ეყრება საფუძველი ახალციხის სახელმწიფოს. ამ დროს მასში შევიდა არტანუჯი და მისი მომიჯნავე ტერიტორიები. სარგის I-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა მისმა შვილმა ბექა I-მა. მათი მემკვიდრეთა მმართველობა გრძელდებოდა 1578 წლამდე, ვიდრე ეს ტერიტორიები

ოსმალებმა დაიპყრეს. ათაბაგთა ერთი ნაწილი ოსმალებს დაემორჩილნენ, ისლამი მიიღეს და სანჯაყ-ბეგები გახდნენ.

მაჭახელა-აჭარას ნაწილი ჯაყელმა ბეგებმა, უპირველესად, შავშეთ-იმერხევის რეგიონს მიუერთეს და აქ პირველი სანჯაყ-ბეგები გაჩდნენ. ამათგან ისპირიდინ ბეგის შვილმა იოსებ ბეგმა აჰმედის სახელი დაირქვა. მისმა ძმებმა:მეჰმედ, მაჰმუდ და სეფერმა ბეგობა მიიღეს. ისინი ართვინ-ფერთეგრექ-ლივანას ნაწილის სანჯაყ-ბეგები გახდნენ და ახალციხე-ქობლიანის ალთუნყალას მმართველებად იწოდებოდნენ.

ნაშრომის პირველი თავი ეხება ახალციხე-ართვინის გარშემო არსებული ტერიტორიების ისტორიას. ამ ნაწილში ავტორი გადმოგვცემს მოკლე ქრონოლოგიურ მონაცემებს ძველი საუკუნეებიდან ოსმალთა ბატონობამდე. ავტორი აქვე ამბის თხრობას იწყებს 3000-1000 წლებიდან. მოკლედ გვიყვება ამბებს აღნიშნული კუთხის თაობაზე ისლამის დაპყრობითი ომების დროიდან. შემდეგ თხრობას განაგრძობს სელჩუკთა დაპყრობებამდე, ეხება არაბთა დაპყრობებს; სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირებულ მომენტებს, ბრძოლის ეპიზოდებს. მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას. ავტორი განაგრძობს ამბების თხრობას სელჩუკთა შემოსევების შემდგომ პერიოდზეც. მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ახერხებს ცალკეული ეპიზოდების მოტანას და თავისი მოსაზრებების წარმოჩენას. ავტორი საკმაოდ ფართოდ ჩერდება სელჩუკთა გამოჩენაზე და საქართველოში არსებულ ვითარებაზე. სელჩუკი სულთნების ბრძოლებსა და სამხრეთ საქართველოში არსებულ ვითარებაზე. კერძოდ, განხილულია სელჩუკების წინააღმდეგ გოლე-ფასინ-შავშეთ-არტაანისა და ახალციხის ქრისტიანული მოსახლეობის გაერთიანება. მათ წინააღმდეგ ბიზანტიის, ხაზარების, პაჭანიკების, ქართველებისა და ქრისტიან ყივჩაღთაგან შემდგარი ლაშქრის გამოსვლა, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს დიდი ლიპარიტ ორბელიანი. მათ წინ აღუდგა მუსლიმ ჯაფარიანთა და შედადიანთა ემირები. თოღრულის ლაშქარს შეება ლიპარიტის ჯარი, იგი სასტიკად დამარცხდა. აქვე საუბარია ალფ-არსლანის პირველ

ლაშქრობაზე კავკასიაში. ავტორის გადმოცემით, ალფ-არსლანი მეორედ მოვიდა 1076 წელს. მტკვრის სათავეებთან მას თან ახლდა ნიზამ ალ მულქი. ისინი სურამამდე მივიდნენ და მიადგნენ იმერეთს. იმერეთის მეფე გაიქცა და მისი ციხეები ერთმანეთის მიყოლებით სელჩუკებმა დაიკავეს.

სელჩუკებმა ხელთ იგდეს რიზე, ისპირი, ბაიბურთი, თერჯანი, ფასინი, ყარსის რეგიონი და ჭოროხის აუზი, არზრუმი თურქმენი სელჩუკების შვილებს უბოძა. ამ საბეგომ იარსება 1071-1202 წლამდე. იგი სელჩუკთა განმგებლობაში შედიოდა. ყივჩაღთა შემოსევებით მათი მფლობელობა განადგურდა.

ავტორი აღწერს ჩვენთვის უკვე ცნობილ ფაქტებს დიდი სელჩუკი სულთნების ალფ-არსლანსია და მელიქ-შაჰის საქმიანობას კავკასიაში საერთოდ და კერძოდ საქართველოში. იგი ასევე მიუთითებს ყივჩაღთა საქმიანობასა და დარიალის ხეობით მათ შემოჭრას საქართველოში, რომ დავითის მოლვაწეობის შემდეგ ისპირი და ანი სელჩუკთა მიერ იქნა დაკავებული. დავითმა ყივჩაღთა გამოყენებით ჰერეთი, კახეთი, სომხითი, ტაშირი, არტაანი და ართვინის რეგიონები შემოიერთა. ამის შემდეგ ჭოროხის აუზი ქართველებს დარჩათ. ავტორი განაგრძობს, რომ ყივჩაღთა მეთაური ამ დროს იყო ყუბასარი, ამის შემდეგ ქართველთა და ყივჩაღთა გაერთიანებულმა ძალებმა ხელთ იგდეს არზრუმის სალთუკიანი ემირი იზ ად-დინ სალდუხი და იგი დაატყვევეს.

ამ პერიოდში აზერბაიჯანში დაარსდა ელდეგიზიანთა აზერბაიჯანის საათბაგო. ამასობაში ახალციხე-ოლთისს შორის დამკვიდრდა მუსლიმ თურქთა განმგებლობა. გიორგ III-მ 1177 წლისთვის მთავარსარდლობა ყივჩაღებს გადასცა.

გიორგი III-ისა და დემეტრე I-ის შემდეგ ყივჩაღები კვლავ მოაწყდნენ საქართველოს. თამარის ხანის მხედართმთავრები — ივანე და ზაქარია ქრისტიანი თურქები იყვნენ, რომლებიც ამავდროულად „გურჯისტანის ათაბაგები“ იყვნენ. როგორც ვხედავთ, ავტორი ორბელსა

და ივანე და ზაქარია მხარგრძელებს რატომლაც ქრისტიან თურქებად მოიხსენიებს.

ნაშრომში ვკითხულობთ, 1225 წლის ბრძოლაში ჯელალ ად დინთან 60 000-იანი ქართველ-ყივჩაღლა ლაშქარი განადგურდა. ყივჩაღთა შთამომავალნი საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ ქართულ ტერიტორიაზე და აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაში. სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა მასობრივად იყო დასახლებული ყივჩაღური მოდგმის ტომებით. ავტორი აქვე უთითებს, ყივჩაღები რუსულ წყაროებში მოხსენიებულია პოლოვცების სახელით, აღმოსავლურ წყაროებში კი ყივჩაღებად. ბიზანტიელები ყივჩაღებს კუმანებად იხსენიებენ, სომხები კი შარდესად.

ავტორი შემდეგ მოგვითხრობს, რომ ქართველთა მეფე რუსუდანის მეუღლე იყო სალთიკლი დავუდი. მისგან გაჩნდა თამარი, შემდგომში კონიის სულთან ყიას ად დინ ქეიჰუსრევის ცოლი. მათ ეყოლათ ალა ად დინ ქეიყობადი: ყივჩაღები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. თამარის დროს ძალიან მომრავლდნენ ისინი. ფინანსთა მინისტრი იყო ყუთლუ არსლანი. ძველი ყივჩაღები იბრძოდნენ ახალი ყივჩაღების წინააღმდეგ.

ყივჩაღები ცხოვრობდნენ როგორც საქართველოში, ასევე ანატოლიაშიც. დავითის დროს ძალიან გამრავლდა მათი რიცხვი. თითო ოჯახი შედგებოდა სულ ცოტა 6 სულისაგან მაინც.

შემდეგ ავტორი განიხილავს ჩილდირის ჯაყელებს, ახალციხის ათაბაგებს და აღნიშნავს, რომ 1268 წელს ფოცხოვ-ახალციხის მონაკვეთზე არსებობდა ყივჩაღთა საათაბაგო. ჭოროხის აუზში იყო ბაგრატიონთა ძველი დედაქალაქი არტანუჯის ციხე, დროთა ვითარებაში იგი გახდა თორთუმ ქალაქი, რომელიც დაპყრობილ იქნა 1578 წელს და აღგვილ იქნა პირისაგან მიწისა.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია ჩილდირის ეიალეთი და საათაბაგოების სანჯაყ-ბეგები. ჯერ წარმოდგენილია ეიალეთის ორგანიზაცია. ოსმალეთის იმპერია ადმინისტრაციული თვალსაზრისით სამ

ნაწილად იყოფოდა: I. ეიალეთები, II. სანჯაყები და III. ნაჰიეები. ასე იყო XVI საუკუნის შუა წლებამდე.

არტანუჯის სანჯაყი შედგებოდა: ტაოსკარის, ჯაკისა და იშხანისაგან, ცენტრი იყო არტანუჯი. ჩილდირის ვილაიეთი 1610 წლისთვის 13 სანჯაყისაგან შედგებოდა. ესენია: ოლთის, ხერთვისის, არტანუჯის, დიდი არტაანის, ჭაჭარაქის, ფოცხოვის მაჭახლის (იურთლუქი იყო), აჭარა, ფანაკი, ლივანა, ნისფი ლივანა, ფერთეგრექი, შავშეთის ნაჰიეები. აჭარასთან ერთად ბორჩხა და ხოფა ართვინის რეგიონიც ტრაპიზონთან იყო დაკავშირებული, ცენტრით ბათუმი, იგი ლაზისტანის სანჯაყში იყო. 1878 წლის შემდეგ იგი სამ ნაწილად იქნა დაყოფილი: ბათუმის, არტაანისა და ყარსისაგან.

ათაბაგთა წარმომავლობიდან მოსული სანჯაყ-ბეგები. შავშეთ-მაჭახელ-იმერ-ხევის სანჯაყ-ბაგები.

ავტორს მოტანილი აქვს არაერთი ფირმანისა თუ ბერათის შინაარსი, რომლებშიც წარმოდგენილია ოჯაქლიქებად და თიმარებად გაცემული დოკუმენტები. მათში ჩანს, თუ როგორი საინტერესო შინაარსის საბუთებია წარმოდგენილი მინათმფლობელობისა თუ მინათსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტები საინტერესოა იმ მხრივაც. თუ როგორ იბრძოდნენ ნახევრად დამოუკიდებელი მმართველები თავისუფლების მოსაპოვებლად. მოვლენები ვითარდება მთელი XVIII-XIX საუკუნეთა მანძილზე. ისტორიული საქართველოს გამგებლები აშკარად ითხოვდნენ მეტ უფლებებსა და დამოუკიდებლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფერთეგრექისა და ლივანას სანჯაყბეგების მოთხოვნები. ისინი, ჯერ კიდევ ქართველები, ქრისტიანები არიან XVI საუკუნის შუა წლებისთვის.

ნაშრომის მე-4 თავში წარმოდგენილია ბიოგრაფიული ცნობები ბეგლარბეგებისა და ფაშების შესახებ. ცნობები ძირითადად ამოკრეფილია „სიჯილი ოსმანის" ბიოგრაფიული ლექსიკონებიდან. აქვე მოტანილია ყველა ფაშას შესახებ არსებული მასალები, ჩამოთვლილია მათი ბიოგრაფიული მონაცემები. ჩვენ აქ არ შევუდგებით ჩამოთვლას

იმ ბეგლარბეგებისა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე განაგებდნენ სამხრეთ საქართველოში ცალკეულ პროვინციებს. მათი რაოდენობა 50-ზე მეტია. ავტორს შეძლებისდაგვარად მოთხრობილი აქვს მათ შესახებ.

ამგვარად, მუსტაფა ადილ ოზდერის „ჩილდირის ათაბაგები და მათი შთამომავალნი ისტორიაში" მნიშვნელოვანი ნაშრომია თურქულ ისტორიოგრაფიაში, რომელშიც შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი სამცხის ათაბაგების ისტორია. ავტორი ცდილობს, აღადგინოს თითოეული ათაბაგის საქმიანობა, მისი დამოკიდებულება ხელისუფლებასთან და გარე სამყაროსთან. ამ წიგნის შემოტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში უდავოდ საჭირო და საშური საქმეა. ავტორი ძირითადად იყენებს ხალხის აღწერის ვრცელ დავთრებსა და „სიჯილი ოსმანის" მონაცემებს. მის მიერ გამოყენებული წყაროები ძალიან საინტერესოა საქართველოს ისტორიისთვის. მას არაერთი ახალი ცნობა მოაქვს მეცნიერებისათვის.

ლიტერატურა

4. **Nebi Gümüş**. Büyük Selçuklu-Gürcü İlişkileri. Türkler. 4, Hasan Cemal Güzel, Prof. Dr. kemal Çiçek, Prof. Salim Koca. Yeni Türkiye Yayınları. 713-721. Ankara. 2000.
2. **Nebi Gümüş**. Osmanlıların Gürcistanı Fethi ve Ýslamlaşma Hareketleri (XVI yüzyıl). Osmanlı Siyaset. Editör Güler Eren, Bilim Editörleri Doc. Dr. Kemal Çiçek Cem Oğuz. Yeni Türkiye Yayınları. 326-335. Ankara. 1999.
3. **Nebi Gümüş**. The Ottoman Conquest of Georgia and The Islamising Movements in the 16-th century. The Ottoman-Turkish Civilization Politics. Editor-in-chief Prof. Kemal Çiçek. Yeni Türkiye. Ankara. 2000.
1. **Nebi Gümüş**. XVI Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri (Doktora Tezi). Danışman Prof. Dr. Ziya Kazıcı. İstanbul. 2000.
5. **Mustafa Adil Özder**. Tarihte Çıldır Atabeğleri ve Torunları. Erzurum. 1971.